საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1

(დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით)

ქ. თბილისი 13.08.2015წ.

სხდომას ესწრებოდნენ: დავით ნარმანია, დიმიტრი ქუმსიშვილი, გიორგი ტყემალაძე, გოჩა ბაბუნაშვილი, იოსებ ვარდოშვილი, გიორგი გურგენიძე, ნინო ღოღობერიძე, ოთარ ნემსაძე, კახა ფოცხიშვილი, დავით აბულაძე, ლევან ბერიძე, ვლადიმერ ცინცაძე, დიმიტრი მოსულიშვილი, ნიკოლოზ აბაშიძე, გიორგი სალუქვაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიორგი ალიბეგაშვილი, ბიძინა გიორგობიანი, მიხეილ ჯანელიძე, ცირა ელისაშვილი, თენგიზ მახარაშვილი, ზვიად ბატიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: დავით ნარმანია
სხდომის მდივანი: თამთა ლომიძე

სხდომის დღის წესრიგი: 2015 წლის 21 მაისს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, საპროექტო მომსახურების – დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერი 1673) შემოსული საკონკურსო წინადადების საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და სხვა საორგანიზაციო საკითხები.

1. <u>განიხილება წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები:</u>

- კანდიდატი N1 –აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტთან არსებული „ადამიანის საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი სივრცის ფორმირების“ საპროექტო, სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, ნანი მეფარიშვილი, გიორგი ბათიაშვილი, მერაბ ჩხენკელი და სხვები.
- კანდიდატი N2 – „Arte Charpentier Architectes“, VINCI, მარინა ეგუტია და სხვები.
- კანდიდატი N3 – შპს „არტსტუდიო პროექტი“, Metrogramma, Mobility in Chain, Aecom, გიორგი სულაბერიძე და სხვები.
- კანდიდატი N4 – გიორგი წივწივაძე.
- კანდიდატი N5 – შპს „Treehouse”, ლერი გოშაძე და სხვები.
- კანდიდატი N6 – შპს „ანი - არქიტექტორები“, პავლე ძინძიბაძე, ზაქარია ქურდიანი და სხვები.
- კანდიდატი N7 – შპს „გეოგრაფიკი“, KCAP, Burohappold Engineering, Studia 21, გიორგი გოცირიძე, პავლე ძიძიგური და სხვები.
- კანდიდატი N8 – კომპანია „SCP Consultants Pte Ltd. Singapore“, გიორგი გიორგაძე და სხვები.
- კანდიდატი N9 – შპს „reicher haase associierte“, შპს „ლზკ“, ზურაბ ბაქრაძე და სხვები.
- კანდიდატი N10 – შპს „არკო 04“, ი. ტვილდიანი, დ. გუნცაძე, ი. ესიტაშვილი და სხვები.
- კანდიდატი N11 – შპს „თბილისი ჯგუფი", ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“, Albert Speer & Partner GmbH (AS&P), ნიკოლოზ ჭეიშვილი, მამუკა სალუქვაძე და სხვები.

საკონკურსო კომისიამ, ხმათა უმრავლესობით, გადაწყვიტა, რომ N1, N2, N4, N5, N10 კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო პირობების ძირითად (არსებით) მოთხოვნებს, მათ შორის, საკონკურსო პირობების III და IV მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (არასრული ან არარსებული წინასაპროექტო მოსაზრება, გეგმარებითი დავალების არქონა, არასრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ისევე როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება და შესრულების ვადები), რის გამოც მათი შემდგომი განხილვა არ არის მიზანშეწონილი.

2. <u>განიხილება საკონკურსო კომისიის სამომავლო მუშაობის გრაფიკი.</u>

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, შემდგომი სხდომები გაიმართება 2015 წლის 18 აგვისტოს, 20 აგვისტოს, 30 აგვისტოს და 31 აგვისტოს.

3. <u>განიხილება პრეზენტაციების ჩატარების გრაფიკი და ფორმა.</u>

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, პრეზენტაციები ჩატარდება 2015 წლის 26 და 27 აგვისტოს, ამასთან, კანდიდატები წარსდგებიან შემდეგი თანმიმდევრობით:
26 აგვისტო – კანდიდატი N8, კანდიდატი N6, კანდიდატი N7;
27 აგვისტო – კანდიდატი N3, კანდიდატი N9, კანდიდატი N11.

პრეზენტაციის ჩატარების ფორმა განისაზღვრება შემდეგი სახით: პრეზენტაცია ტარდება მხოლოდ ერთი კანდიდატისა და ჟიურის მონაწილეობით; კანდიდატს ეძლევა 30 წუთი პრეზენტაციისათვის და 1 საათი კითხვა – პასუხის რეჟიმისათვის; პრეზენტაციის ენა – ქართული/ინგლისური; თითო კანდიდატს შეუძლია თავისი გუნდის არაუმეტეს ათი წევრის მოწვევა, რომლის შესახებაც ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, არაუგვიანეს 2015 წლის 25 აგვისტოსა.

4. <u>განიხილება საკონკურსო კომისიის წევრის, თენგიზ მახარაშვილის ინტერესთა კონფლიქტის საკითხი.</u>

საკონკურსო კომისიამ დაადგინა, რომ საკონკურსო კომისიის წევრს, თენგიზ მახარაშვილს წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი კანდიდატ N3-თან დაკავშირებით, რის გამოც მიზანშეწონილია სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა მოახდინოს აღნიშნული წევრის ცვლილება საკონკურსო კომისიაში.

დავით ნარმანია		კახა ფოცხიშვილი	
დიმიტრი ქუმსიშვილი		დავით აბულაძე	
გიორგი ტყემალაძე		ლევან ბერიძე	
გოჩა ბაბუნაშვილი		ვლადიმერ ცინცაძე	
იოსებ ვარდოშვილი		დიმიტრი მოსულიშვილი	
გიორგი გურგენიძე		ნიკოლოზ აბაშიძე	
ნინო ღოღობერიძე		გიორგი სალუქვაძე	
ოთარ ნემსაძე		თამთა ლომიძე	